საქართველოს მთავრობის

დადგენილება №17

2021 წლის 18 იანვარი

ქ. თბილისი

„სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში (სსმ, №168, 24/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. №2[1] დანართით („სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები“) განსაზღვრული ცხრილის („საერთო სანებართვო პირობები“):

ა) მე-12 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

12		ა) კარდიოქირურგიული ერთეულის შემთხვევაში, შესაბამისი მოთხოვნები ასევე განისაზღვრება დამატებითი სანებართვო პირობების ცხრილის XVIII ნაწილით;
	სავენტილაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საოპერაციო ბლოკში, სარეანიმაციო განყოფილებაში, ახალშობილთა ინტენსიური მოვლის (NICU) განყოფილებაში, საიზოლაციო სათავსებში (ბოქსი, ნახევრადბოქსი და ბოქსირებული პალატა), საიზოლაციო სივრცე (საწოლი) რეანიმაციაში, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (EMERGENCY) ერთეულის სათანადო სათავსებში, ფთიზიატრიულ და ინფექციურ განყოფილებაში წნევათა სხვაობის ისეთ რეჟიმს, რომ არ მოხდეს ჰაერის გადადინება ნაკლებად სუფთა სათავსებიდან	ბ) აღნიშნული სათავსები აღჭურვილი უნდა იყოს წნევათა სხვაობის გამზომი (მათ შორის, დიფერენციალური მანომეტრის ტიპის) ხელსაწყოთი (მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა 2021 წლის 1 თებერვლიდან)“;

“;

ბ) მე-20 და 20[1] გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

20	ლაბორატორიული ტესტების/კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა 24-საათიან რეჟიმში: სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი, სისხლის ჯგუფობრიობის, რეზუს-ფაქტორისა და შედედების დროის, შაქრის რაოდენობის განსაზღვრა სისხლში და პროფილის გათვალისწინებით – სტანდარტული ტესტები	ა) კლინიკური და ბიოქიმიური დიაგნოსტიკური ლაბორატორიული სერვისები უნდა განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/ მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან იმავე ფაქტობრივ მისამართზე ხელშეკრულების საფუძველზე; ბ) მიკრობიოლოგიური, იმუნოლოგიური, სეროლოგიური, მოლეკულურიდიაგნოსტიკური ლაბორატორიული სერვისი უნდა განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე, ისე, რომ იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების დასაბუთებას; გ) პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის სერვისის მიმწოდებლებისთვის ლაბორატორიული ტესტების/კვლევების ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/ მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე, ისე, რომ იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების დასაბუთებას; დ) ლაბორატორიული სერვისის სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყოფის შემთხვევაში სერვისის მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საქმიანობის სანებართვო დანართი ან შეტყობინება მაღალი რისკის შემცველ სამედიცინო საქმიანობაზე
20[1]	გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიწოდება, რომლის ფარგლებშიც, 24 საათის განმავლობაში, პაციენტისათვის უზრუნველყოფილია სწრაფი და ეფექტიანი ხელმისაწვდომობა ისეთ სამედიცინო დახმარებასთან, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება, ხოლო შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, პაციენტების ეფექტიანი განთავსება/ტრანსპორტირება შესაბამისი სერვისის მიმწოდებელთან	**შენიშვნა:** სავალდებულოდ არ ვრცელდება: პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის, დერმატოლოგიური, ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური სერვისების მიმწოდებლებზე;

“;

გ) 23-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

		ა) არ მოეთხოვება ნარკოლოგიური, დერმატოლოგიური, ფსიქიატრიული, ოფთალმოლოგიური და

23	რენტგენოლოგიური სერვისის უზრუნველყოფა	ოტორინოლარინგოლოგიური საქმიანობების განმახორციელებელს; ბ) შესაძლებელია, განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან იმავე ფაქტობრივ მისამართზე, ხელშეკრულების საფუძველზე, ისე, რომ იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების დასაბუთებას; გ) საბაზისო (I) მოვლის დონის პერინატალური სერვისის მიმწოდებელი სუბიექტის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე; დ) ახალშობილთა ინტენსიური მოვლის (NICU) სერვისის მიმწოდებელს მოეთხოვება საკუთარი მობილური რენტგენის აპარატი; ე) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (EMERGENCY) ერთეულის შემთხვევაში შესაბამისი მოთხოვნები ასევე განისაზღვრება დამატებითი სანებართვო პირობების ცხრილის X ნაწილით; ვ) კარდიოქირურგიული ერთეულის შემთხვევაში, შესაბამისი მოთხოვნები ასევე განისაზღვრება დამატებითი სანებართვო პირობების ცხრილის XVIII ნაწილით; ზ) პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის სერვისის მიმწოდებლებისთვის რენტგენოლოგიური სერვისის უზრუნველყოფა შესაძლებელია, განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე, ისე, რომ იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების დასაბუთებას;

“;

დ) 26^1 გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 26^2 გრაფა:

”

26^2	თითოეულ სტაციონარს უნდა ჰყავდეს სოციალურ სამუშაოზე პასუხისმგებელი პირი – სოციალური მუშაკი	ა) სავალდებულოა 2021 წლის 1 თებერვლიდან; ბ) სოციალური მუშაკის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

“.

2. №2 დანართით („სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები“) განსაზღვრული ცხრილის („დამატებითი სანებართვო პირობები“) VII ნაწილის („ქირურგიული პროფილის მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს“) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

5	რეანიმაციული სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან იმავე ფაქტობრივ მისამართზე ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების დასაბუთებას. **შენიშვნა:** გამონაკლისს წარმოადგენს: ა) მაღალმთიანი/საზღვრისპირა რაიონები (მუნიციპალიტეტები), სადაც აღნიშნული სერვისის განხორციელება ნებადართულია ინტენსიური თერაპიის პალატის ფარგლებში მართვითი სუნთქვისათვის საჭირო აღჭურვილობისა (მ.შ. აირების უსაფრთხო მიწოდების) და შესაბამისი სპეციალისტით უზრუნველყოფის შემთხვევაში; ბ) პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის სერვისი, თუ მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პოსტოპერაციულ პალატაში უზრუნველყოფილია შემდეგი პირობები: ბ.ა) დაკვირვების ავტომატური სისტემა ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციების (პულსისა და სუნთქვის სიხშირე, რითმი, არტერიული წნევა) უწყვეტი მონიტორინგისათვის, მართვითი სუნთქვისათვის საჭირო აღჭურვილობა (მ.შ. აირების უსაფრთხო მიწოდების); ბ.ბ) შესაბამისი სპეციალისტით უზრუნველყოფა; ბ.გ) თითოეული საწოლი ისე უნდა იყოს განთავსებული, რომ იძლეოდეს პაციენტის იზოლირების (მ.შ., შირმა/ თეჯირი) საშუალებას; ბ.დ) საწოლთა განთავსება უნდა იძლეოდეს 360^0-იანი მისადგომობის შესაძლებლობას; ბ.ე) იზოლირებული სივრცეები მოზრდილებისა და ბავშვებისათვის ასეთი სერვისის არსებობის შემთხვევაში.

“.

3. №2^2 დანართით („სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი სტაციონარის სანებართვო პირობები“) განსაზღვრული ცხრილის 28-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

		სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი სერვისის/დეპარტამენტის

„28	დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საევაკუაციო გასასვლელი	სხვა სტაციონარულ დაწესებულებაში ინტეგრირების შემთხვევაში შესაძლებელია სტაციონარული დაწესებულების საევაკუაციო გასასვლელით სარგებლობა, თუ შენობა-ნაგებობის დაგეგმარება იძლევა ამის საშუალებას. ნებართვის მაძიებელმა/მფლობელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი.

“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**